

საიდ. №76160/03

IR 1175624

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №52-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. ახოზაძე, მ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ნოვარტის აგ“ (NOVARTIS AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №52-03/15), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №307/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „QUINVERO“ (საიდ. №76160/03, IR 1175624) დაცვის მინიჭება საქართველში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის №307/03 ბრძანებაზე

თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებულ ნიშანს „QUINVERO“ უარი უნდა ეთქვას დაცვის მინიჭებაზე, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის „Janssen Pharmaceutica NV“ (მისამართი: Turnhoutseweg 30, B-2340 BEERSE; BE) სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საერთაშორისო რეგისტრაციის მადრიდის ოქმით საქართველოზე გავრცელებული და დაცული სასაქონლო ნიშნისა „QUIVERA“ (საერთაშორისო რეგისტრაციის N 1078965, საერთაშორისო რეგისტრაციის და საქართველოზე გავრცელების თარიღი 2011-05-19). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ იდენტური ჟღერადობა. ნიშნებს შორის განსხვავებას წარმოადგენს განცხადებულ ნიშანში დამატებით არსებული ასო “N” და ასევე, ბოლო ასოები (ერთ შემთხვევაში „O“, ხოლო მეორეში „A“), რაც ვერ ანიჭებს ნიშნებს საკმაო განმასხვავებლობას და სიტყვის წარმოთქმისას ორივე ნიშანი გამოითქმის იდენტურად. რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - "საქპატენტის" თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს №05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას". აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქართველოში.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ნოვარტის აგ“ (NOVARTIS AG) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც - „ქუ-ინ-ვე-რო“, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო ნიშანი კი - „ქუ-ი-ვე-რა“. აპელანტის აზრით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები სრულიად განსხვავებულად წარმოითქმის. განსხვავებულია ნიშნების ბოლო ნაწილები. ერთი ბოლოვდება მარცვლით “რო” ხოლო, მეორე კი - “რა”. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს განსაკუთრებულ განმასხვავებლობას სძენს შუა მარცვალი “ინ”, რომელიც მკაფიოდ წარმოითქმის და ანიჭებს ნიშანს იმ დონის განსხვავებადობას, რომ მისი აღრევა განცხადებულ სასაქონლო ნიშანთან არ მოხდება. აპელანტის პოზიციით, ნიშნები განსხვავებულია ასევე, ვიზუალურად - „QUINVERO” – „QUIVERA“. ნიშანში დამატებითი ასო “N”, ასევე განსხვავებული დაბოლოება “RO” სძენს ნიშანს იმ დონის განმასხვავებლობას, რომ არ მოხდეს მისი აღრევა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანთან. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად ერთი და იგივე კლასისა საქონლის ჩამონათვალი განსხვავებულია და შესაძლებელია მისი ისე გამიჯვნა, რომ არ მოხდეს ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელანტის მითითებით, მისი კუთვნილი სასაქონლო ნიშანი გასავრცელებლად წარმოდგენილია მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „ვაქცინები ადამიანისათვის”. ხოლო დაპირისპირებული ნიშანი

კი მე-5 კლასის შემდეგი საქონლისათვის: “ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის, რომლებიც გამოიყენება ნივთიერებათა ცვლის დაავადებების სამკურნალოდ, დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების, ტკივილის, ინფექციური დაავადებების, კიბოს და ვირუსების სამკურნალოდ”. საქონლის ჩამონათვალის შედარება ცხადყოფს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნით დაცული საქონელი არ არის სწრაფად შესაძენი საქონელი. მისი გაცემაც ხდება რეცეპტით და შესაძენად მომხმარებელი მიდის წინასწარ მომზადებული. მომხმარებელმა ამ შემთხვევაში ზუსტად იცის, თუ რომელი წამალი სჭირდება და რომელი კომპანიის წარმოებული. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ამ პრეპარატს მომხმარებელი შეიძენს მხოლოდ შესაბამის სპეციალისტთან კონსულტაციის შემდეგ და მხოლოდ მისი დანიშნულებით და რეცეპტით, რაც გამორიცხავს შეცდომას და პრეპარატების დასახელების აღრევას. აპელანტის მითითებით, აღსანიშნავია რამოდენიმე მაგალითი საქპატენტის სააპელაციო პალატის პრაქტიკიდან. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებების შედეგად საქართველოს ბაზარზე თანაარსებობენ ისეთი სასაქონლო ნიშნები ფარმაცევტული საქონლისათვის როგორებიცაა: - „LANTOX” და „LANTUS”, “SOREL” და “OSSOREL”, “АДЕНУРИК” და “АТЕНОРИК”. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში კოლეგიამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები რეგისტრირდება მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის - „ფარმაცევტული პრეპარატები”, რომელთა დანიშვნაც როგორც წესი ხდება ექიმის მიერ და მომხმარებელმა კარგად იცის, თუ რომელი პრეპარატი ესაჭიროება და მისი შემენისას იჩენს განსაკუთრებულ სიფრთხილეს. დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შედარების შედეგად ირკვევა, რომ ნიშნების ვიზუალური, ფონეტიკური და აგრეთვე, საქონლის სპეციფიკურობა საშუალებას იძლევა იმის მტკიცებისა, რომ მათი აღრევა არ მოხდება. შესაბამისად, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა. ყოველივე

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ №307/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „QUINVERO“ (საიდ. №76160/03, IR 1175624) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „QUINVERO“ (საიდ. №76160/03, IR 1175624) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „QUIVERA“ (IR 1078965) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშანს. ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშნებს. ორივე ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. იდენტურია ნიშნების საწყისი ნაწილები „QUI“ - „QUI“. განცხადებული სასაქონლო ნიშანი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნისაგან განსხვავდება მხოლოდ ორი ასოთი „N“ - „O“, რაც ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის,

როგორც „ქუინვერო“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ქუივერა“. იდენტურად ჟღერს, ნიშნების საწყისი ნაწილები „ქუი“ – „ქუი“.

მსგავსია ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი, რადგან ორივე ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია მოიცავს მსგავს ფარმაცევტულ პრეპარატებს, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი მოიცავს მე-5 კლასის საქონლის შემდეგ ჩამონათვალს: „ვაქცინები ადამიანისათვის“, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს შემდეგ საქონელს: „ფარმაცევტული პრეპარატები ადამიანებისათვის, რომლებიც გამოიყენება ნივთიერებათა ცვლის დაავადებების სამკურნალოდ, დიაბეტის, გულსისხლძარღვთა დაავადებების, ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების, ტკივილის, ინფექციური დაავადებების, კიბოს და ვირუსების სამკურნალოდ“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „QUINVERO“ (საიდ. №76160/03, IR 1175624) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ნოვარტის აგ“ (NOVARTIS AG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2015 წლის 12 იანვრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „QUINVERO“ (საიდ. №76160/03, IR 1175624) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №307/03 ბრძანება.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

მ. ფრუიძე

წევრები:

ლ. ახოზაძე

მ. ჭიჭინაძე